**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 1-138-22ტ**

**ქ.თბილისი** **06 ივნისი, 2022წ.**

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო, ერთის მხრივ **სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ნიკოლოზ აზნაურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს ,,ძველი გალავანი“** (შემდგომში ,,მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ გელაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის სატენდერო წინადადების საფუძველზე.

შემსყიდველმა ჩაატარა ტენდერი (სატენდერო განცხადების ნომერი **NAT220008190**) **მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, სამთავროს სამონასტრო კომპლექსში შემავალი ფერისცვალების ტაძრის ცოკოლის სამშენებლო მასალის კონსერვაციისა და წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის სარინელის გადაწყობის და წყალამრიდი სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების** შესყიდვაზე **(CPV კოდი 71320000),** რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაწიოს მომსახურება შემდეგ თანხაზე **47164.00 (ორმოცდაშვიდი ათას ასსამოცდაოთხი)** ლარი ყველა გადასახადის **(დღგ-ს გარეშე)** ჩათვლით (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

**1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

**2. შესყიდვის ობიექტი**

2.1. შესყიდვის ობიექტია: **მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, სამთავროს სამონასტრო კომპლექსში შემავალი ფერისცვალების ტაძრის ცოკოლის სამშენებლო მასალის კონსერვაციისა და წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის სარინელის გადაწყობის და წყალამრიდი სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება,** რომელიც განისაზღვრება ტექნიკური დავალების და მომსახურების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. შესყიდვის ტექნიკური დავალება და ხარჯთაღრიცხვა თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართები).

**3. სამუშაოს შესრულების პირობები**

3.1. საპროექტო დოკუმენტების მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #79;

3.2. მომსახურების გაწევის ვადაა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული თვის ვადაში.**

**4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

4.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის სამსახური.

**5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

5.1. მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს მომსახურების დასრულების შესახებ.

5.2. წარმოდგენილი პირობებისა და ვადების ფარგლებში მიმწოდებელმა საბოლოო პროდუქციის სახით შემსყიდველს უნდა გადასცეს ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებისა და ფორმატის შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია.

5.3. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების სრულყოფილებას, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

5.4. მომსახურების გაწევის შემდგომ ხელშეკრულების 4.5 მუხლში აღნიშნული პირების მიერ შემოწმების შედეგად შედგება შესაბამისი დასკვნა და მიღება-ჩაბარების აქტი.

5.5. თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს ხარვეზის მითითებით.

5.6. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი დეფექტები.

5.7. თუ შემსყიდველმა მომსახურება შეაფასა წუნით, მომსახურება დასრულებულად ჩაითვლება დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

5.8. შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტიზის საფუძველზე მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 4.5 მუხლში მითითებული პირები).

5.9. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

**6. ანგარიშსწორება**

6.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ **2022 წლის ბიუჯეტის (პროგრამა) სახსრებით.**

6.2. გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ორ ეტაპად, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით შემდეგი პირობით:

6.3.1. პირველ ეტაპზე ანგარიშსწორება მოხდება ხელშეკურლების ჯამური ღირებულების 50%-ის ოდენობით - სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით;

6.3.2. მეორე ეტაპზე ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკურლების ჯამური ღირებულების დარჩენილი 50%-ის ოდენობით - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით.

6.3.3. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტიზაზე პროექტს წარადგენს და ანაზღაურებას ახორციელებს შემსყიდველი.

6.4. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

6.5. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე (არაუმეტეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%) საავანსო საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას. აღნიშნული თანხის გამოქვითვა მოხდება პირველივე ანგარიშსწორების დროს.

**7. ფასები**

7.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული შესყიდვის ობიექტის ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

**8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.2.2. გასცეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვა სამუშაოების წარმოებაზე სანებართვო მოსაკრებლის წარდგენის შემდეგ კანონით დადგენილი წესით.

8.2.3. წარადგინოს საპროექტო დოკუმენტაცია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტიზაზე და აანაზღაუროს შესაბამისი ხარჯები;

8.2.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

8.2.5. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა და აანაზღაუროს ექსპერტიზის ხარჯები.

8.2.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.

8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

8.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

8.3.2. განახორციელოს კონტროლი შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენისას;

8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული დოკუმენტაცია.

8.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმდება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. საპროექტო მომსახურებაზე მიიღოს მესაკუთრეთა და მოსარგებლეთა თანხმობა, დადგენილი წესის შესაბამისად;

8.4.2. ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, სამუშაოების დაწყებამდე გადაიხადოს სანებართვო მოსაკრებელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების ნებართვის მისაღებად 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და აიღოს შესაბამისი ნებართვა, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4.3. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.4.4. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.4.5. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე ინსპექტირების და/ან ექსპერტიზის ჩატარების დროს რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

8.4.6. დოკუმენტაცია წარადგინოს ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ფორმატში.

8.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.5.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია მომსახურების ვადის ამოწურვამდე არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. უფლებების გადაცემა

10.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10.2. მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ქვეკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) აყვანის შესახებ. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს ქვეკონტრაქტორს თავისი უფლებები და მოვალეობები, შემსყიდველის თანხმობის გარეშე.

10.3. ქვეკონტრაქტორი კომპანია არ უნდა იყოს რეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – „შავი სია“.

10.4. შემსყიდველის თანხმობის გარეშე ქვეკონტაქტორის აყვანის შემთხვევაში, იგი უფლებამოსილია მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს ჯარიმის სახით პირგასამტეხლო სახელშეკრულებო თანხის 0,2 %-ის ოდენობით. ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში აღნიშნული საჯარიმო სანქცია გავრცელდება მთელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში (სამუშაოს მიღება -ჩაბარებიდან 5 წელი).

10.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია ქვექონტრაქტორს გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულების არაუმეტეს 40%-ისა.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს შეიძლება დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების ან შეუსრულებელი ნაწილის 10%-ის ოდენობით იმისდა მიხედვით მთლიანად არის ვალდებულება შეუსრულებელი თუ ნაწილობრივ;

11.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის (მ.შ. გეგმა-გრაფიკით/ეტაპებით გათვალისწინებული ვადების ჩამორჩენის, ვადის გადაცილების) გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

11.4. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
11.5. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.
11.6. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12. **ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**
12.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.3. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.
12.4. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
12.4.1. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
12.4.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
12.4.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.
12.6. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეს.

13. **ფორს-მაჟორი**
13.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. **სადაო საკითხების გადაწყვეტა**
14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. **გამოყენებული სამართალი**
15.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. **შეტყობინება**
16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის (მატერიალური ან ელექტრონული) სახით გზავნილის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე/ელ.ფოსტაზე.
16.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. **გადასახადები და დაბეგვრა**

17.1. უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

17.2. ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, **2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

19. **სხვა პირობები**

19.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული ფორმატით, რომლის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ელექრონული დოკუმენტი ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ელექტრონული ფორმატით ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

20. **მხარეთა რეკვიზიტები:**

**შემსყიდველი**
**სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“**
მის.: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #7;
დავით აღმაშენებლის გამზ. #79;
ელ.ფოსტა: info@heritagesites.ge
სახელმწიფო ხაზინა; კოდი: TRESGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022
სახაზინო კოდი - 707617111
ს/კოდი: 204562311

**გენერალური დირექტორი**

ნიკოლოზ აზნაურაშვილი

National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia
Digitally signed by National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia
Date: 2022.06.06 11:34:50 +04'00'

**მიმწოდებელი**
**შპს „ძველი გალავანი“**
მის.: ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის 33
ელ. ფოსტა: mishagelashvili@yahoo.com
ტელ: +995 32 2966458
ბანკის დასახელება: სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE58 TB06 0000 0110 4676 73
ს/კოდი: 231243927

**დირექტორი**

მიხეილ გელაშვილი

Mikheil Gelashvili
Digitally signed by Mikheil Gelashvili
Date: 2022.06.06 13:22:14 +04'00'

ხელშეკრულება დამოწმებულია მხარეთა მიერ ელექტრონული ფორმით

## ტექნიკური დავალება

- <u>პრეამბულა</u>

სამთავროს სამონასტრო კომპლექსს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული არქიტექტურის ისტორიაში, რომელიც 1994 წლიდან სვეტიცხოვლისა და ჯვრის ტაძრებთან ერთად შესულია მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში როგორც მცხეთის ისტორიული ძეგლები.

კომპლექსიდან ჩვენამდე მოაღწია დიდმა ტაძარმა, წმ. ნინოს ეკლესიამ, სამრეკლომ, გალავნის ნაწილმა კოშკით და მოგვიანებით აგებულმა საცხოვრებელმა და სასამსახურო შენობებმა. აქ უცხოვრია წმინდა ნინოს. აქ არიან დაკრძალული მირიან მეფე, ნანა დედოფალი და ერთ-ერთი ასურელი მამათაგანი, აბიბო ნეკრესელი.

**დიდი ტაძარი**

დიდი ტაძარი ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა (27X23 მ). მხატვრულ-სტილისტური ანალიზით XI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. 1283 წლის მიწისძვრის შედეგად გუმბათი ჩაინგრა და იგი XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე აღადგინეს. XVII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის II ნახევარში ტაძარი კაპიტალურად შეაკეთეს. 1974 წელს სარესტავრაციო ჯგუფმა (ხელმძღვ. ვ. ცინცაძე) ტაძარი შეაკეთა: გაამაგრა გუმბათის ყელი და კედლები, განაახლა სახურავი. 2000 წწ. დასაწყისში ტაძრის ინტერიერში მოიხსნა გაჯის გვიანდელი, ამორტიზებული ნალესობა და XIX საუკუნეში დაგებული შავ-თეთრი მეტლახის ფილები, გასუფთავდა ნაწილობრივ ლურჯად შეღებილი და კირით შეთეთრებული კედლები, გამაგრდა დასავლეთის კედელი, ღიობების თავზე და საბრჯენ თაღებში ჩამოწეული ქვები აიწია ე.წ. „დომკრატებით“ და ჩამაგრდა თავის ადგილებზე. ტაძრის შიდა ფართობი სათანადო კვლევების საფუძველზე დადაბლდა თავდაპირველ დონეზე და მოეწყო სუფთად გათლილი ხარაგაულის კირქვის იატაკი (ხელმძღვ. ნ. ზაზუნიშვილი). 2019-2021 წწ. შესრულდა ტერიტორიის ნაწილობრივი კეთილმოწყობა, ტაძრის გარშემო დაგებული ბაზალტისა და მეორადი გამოყენების ლორფინის ფილების ფრაგმენტალური გადაწყობა და გვიან დაგებული ნიჩბისის ნატეხი ქვა შეიცვალა ბაზალტის ქვის ფილებით, ტერიტორიიდან მოწესრიგებული წყლის გადამყვანი, დახურული და ღია არხების გათვალისწინებით.

**წმინდა ნინოს ეკლესია**

წმ. ნინოს ეკლესია დგას ფერისცვალების ტაძრის აღმოსავლეთით, იგი მცირე ზომის (6,2X3,9 მ) გუმბათოვანი ნაგებობაა. ეკლესიის შესასვლელში მოთავსებული წარწერა გვამცნობს, რომ მონასტრის წინამძღვარმა ნინო ამილახვარმა 1879 წელს შენობა შეაკეთა. 1981 წელს ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად გაიწმინდა ერთ მეტრ სიღრმემდე მიწაში ჩამჯდარი ეკლესია, აღდგა მისი დაზიანებული ცოკოლი, კედლები, გუმბათი, ლავგარდანი და გადაიხურა კრამიტით.

**სამრეკლო**

ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით, ოციოდე მეტრის დაშორებით, დგას XV-XVI საუკუნეებში აგებული სამრეკლო. 1984 წელს ნაწილობრივ გაიწმინდა მიწისაგან, შეკეთდა დაზიანებული კედლები, კიბე და სახურავი (ხელმძღვ. ნ. ქვარიანი).

**გალავანი და კოშკი**

ძველი გალავნიდან შემორჩენილია ეზოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, შემაღლებაზე მდგარი XVIII საუკუნის ცილინდრული კოშკი. არსებული გალავანი XIX საუკუნისაა. 1974-75 წწ. გალავანი შეუკეთებიათ და კრამიტით გადაუხურიათ.

გალავნის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში სასაფლაოა, ხოლო ტაძრის დასავლეთით, შემაღლებაზე, შემორჩენილია ნაწილობრივ თლილი კვადრებით ნაგები კედლის ნაშთი, რომელშიც ბუხარია.

- **ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები**

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობების მოვლა-პატრონობა და მათი შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფოს განვითარების პროცესში. მძიმე მდგომარეობაში მყოფი უნიკალური ძეგლებისათვის აუცილებელია სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. რისთვისაც დასამუშავებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრავს რეაბილიტაციის მიმართულებებს და ფიზიკური სამუშაოების განსახორციელების საფუძველი იქნება.

- **მიზანი და ძირითადი პირობები**

ძეგლის რეაბილიტაციისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზანია მისი მდგრადი განვითარების, ერთიანობის ურღვევობის, აუთენტურობის შენარჩუნების, კონსერვაციის, ინტერპრეტაციის და დაცულობის უზრუნველყოფა. პროექტმა უნდა მოიცვას ძეგლის არსებული მდგომარეობის გამოსწორების აუცილებელი ყველა ღონისძიება.

ტაძარი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, ამიტომ რეაბილიტაციის შედეგად სრულად უნდა შენარჩუნდეს ისტორიული იერსახე, ჩასატარებელმა სამუშაოებმა უნდა უზრუნველყოს ძეგლის არსებული მდგომარეობის გამოსწორების

აუცილებელი ყველა ასპექტი. ჩასატარებელი სამუშაოები მოითხოვს გამორჩეულად ფაქიზ მიდგომას, კარგად გამართულ მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას, სწორ კონსტრუქციულ გადაწყვეტას.

საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დაცვით, ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად ნებისმიერი ჩარევა უნდა იყოს:

- შეძლებისდაგვარად მინიმალური;
- შეძლებისდაგვარად ადვილად უკუქცევადი;
- გამოყენებული უნდა იყოს ეკოლოგიურად უსაფრთხო და ორიგინალთან თავსებადი ნივთიერებები;
- ჩარევა არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს ძეგლის რომელიმე კულტურულ ღირებულებას;
- ყველა ჩარევა უნდა იყოს მკაცრად და დეტალურად დოკუმენტირებული.

კვლევითი და საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ შორის პროექტით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოები და მეთოდოლოგია უნდა დაისახოს საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ მოთხოვნებისა და ძეგლთა დაცვითი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. საქართველოს მთავრობის 2007 წ. 28 მარტის №62 დადგენილების „მშენებლობის უსაფრთხოების წესების“ მოთხოვნათა შესაბამისად.

შემსყიდველი იტოვებს უფლებას საპროექტო სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში დააზუსტოს ისეთი ტექნიკური პირობები, რომლებიც არ გამოიწვევენ სამუშაოების მოცულობათა და შინაარსის მნიშვნელოვან ცვლილებებს. აგრეთვე, შემსყიდველი იტოვებს უფლებას სატენდერო დავალებისა და სატენდერო წინადადების საფუძველზე დააზუსტოს მოთხოვნები მისაღები (დასამუშავებელი) პროექტის მიმართ.

გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ (ვექტორული DWG, DXF, PLN გაფართოების ფაილი - Autocad, Archicad პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით). დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე;

საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად უნდა ჩატარდეს კვლევითი და საფიქსაციო სამუშაოები, ჩამოყალიბდეს რეკომენდაციები ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების მეთოდოლოგიის თაობაზე და შესრულდეს ძეგლის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

- **პროექტირებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ:**

მაქსიმალურად უნდა შენარჩუნდეს და რეაბილიტაცია ჩაუტარდეს ყველა კომპონენტს და შეიცვალოს მხოლოდ ის არეები, რომლებიც ძლიერ დაზიანებულია და არ ექვემდებარება რესტავრაციას.

გარკვეული ჩარევები უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების შესაბამისად, განსაკუთრებით კი ძეგლის ავთენტურობისა და მისი მთლიანობის დაცვით.

ძეგლზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე მეთოდოლოგია უნდა დაისახოს საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ მოთხოვნებისა და ძეგლთა დაცვითი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

კვლევითი და საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

- **გასაწევი მომსახურება:**

**ა) სამთავროს სამონასტრო კომპლექსში შემავალი ფერისცვალების ტაძრის ქვედა ნაწილის (ცოკოლისა და მასზე დადგმული ფასადების კედლების წყობის ერთი რიგი საპირე წყობის) სამშენებლო მასალის მდგომარეობის შეფასება და წინასაპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, კერძოდ:**

1. <u>სამშენებლო მასალის იდენტიფიკაცია და ლაბორატორიული კვლევა</u>

1.1. სამშენებლო მასალის მინერალოგიური ანალიზი (რენდგენული დიფრაქციის მეთოდით):

1.2. ფიზიკური შემადგენლობის განსაზღვრა;

1.3. ფაზების პროცენტული შემადგენლობის განსაზღვრა;

1.4. სამშენებლო მასალის პეტროგრაფიული ანალიზი:

1.4.1. გრანუმეტრული ანალიზი;

1.4.2. გამჭვირვალე შლიფის პეტროგრაფიული ანალიზი.

1.5. სამშენებლო მასალის ფიზიკო-მექანიკური თვისებების განსაზღვრა:

ა. მოცულობითი წონა;

ბ. ფორიანობა;

გ. დასველების სიჩქარე;

დ. კაპილარული შეწოვა.

1.6. გრაფიკული დოკუმენტაციის მომზადება ნახაზზე სხვადასხვა სამშენებლო მასალის გავრცელების არეალების ჩვენებით, ნიმუშების აღების წერტილების ჩვენებითა და შესაბამისი ფოტოდოკუმენტაციის თანხლებით;

1.7. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შესაბამისი დასკვნა-რეკომენდაციების მომზადება.

**2. <u>სამშენებლო მასალის დაზიანებათა ტიპების იდენტიფიცირება, კერძოდ:</u>**

2.1. სამშენებლო მასალის დაზიანებების კლასიფიკაცია შესაბამისი ფოტოდოკუმენტაციის თანხლებით და სავარაუდო გამომწვევი მიზეზების განსაზღვრა;

2.2. დეპოზიტური ნადების კვლევა და ტიპოლოგიის განსაზღვრა (ბიოლოგიური და მარილების ანალიზი);

2.3. გრაფიკული დოკუმენტაციის მომზადება ნახაზზე ან/და საბაზისო ორთოფოტოზე დაზიანებების გავრცელების არეალების ჩვენებით ზემოთ აღნიშნული კლასიფიკაციის შესაბამისად; დაზიანებების მოცულობების განსაზღვრა;

**3. <u>შემდგომი ქმედებების განსაზღვრა კომპლექსის ფერისცვალების ტაძრის ქვედა ნაწილის (ცოკოლისა და მასზე დადგმული ფასადების ერთი რიგი საპირე წყობის) სამშენებლო მასალის საკონსერვაციო მდგომარეობის გამოსასწორებლად - საკონსერვაციო პროექტის შემუშავება, კერძოდ:</u>**

3.1 ზემოთ აღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, შესაბამისი დასკვნა-რეკომენდაციების მომზადება, საკონსერვაციო მეთოდოლოგიის და საჭირო ჩარევების განსაზღვრა;

3.2 საკონსერვაციო პროექტის გრაფიკული დოკუმენტაციის და სამუშაოთა მოცულობების უწყისის მომზადება;

3.3 საკონსერვაციო სამუშაოებისა და აქტივობების ჩამონათვალი და რესურსული ხარჯთაღრიცხვა;

3.4 შესასრულებელი სამუშაოების კალენდარული გეგმა-გრაფიკი.

**ბ) სამთავროს სამონასტრო კომპლექსში შემავალი, წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის სარინელის გადაწყობის და წყალამრიდი სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, კერძოდ:**

საპროექტო დოკუმენტაციაში გასათვალისწინებელია საინჟინრო კვლევების მიხედვით შესაბამისი პროექტის შედგენა: საჭიროებისამებრ საძირკვლის გამაგრება; სადრენაჟო სისტემისა და წყალგადამყვანი არხების მოწყობა; წყლის ტერიტორიიდან გაყვანის სისტემის მოწყობა; გადახურვის დაზიანებული კრამიტების შეცვლა.

1. კვლევითი და საფიქსაციო სამუშაოები:

- ობიექტის აზომვითი სამუშაოები, დეტალური ფოტოფიქსაცია;

- კონსტრუქციული კვლევა, ტექნიკური დასკვნა;

- საინჟინრო-გეოლოგიური და (საჭირობისამებრ ჰიდროლოგიური) კვლევა.

2. კვლევითი-საფიქსაციო სამუშაოების საფუძველზე არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილის მომზადება;

3. საინჟინრო კომუნიკაციების პროექტების შედგენა;

4. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენა;

5. საჭიროების შემთხვევაში ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტის მომზადება;

6. შესასრულებელი სამუშაოების კალენდარული გეგმა-გრაფიკი;

7. რესურსული ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

**გასაწევი მომსახურება ერთეტაპიანია** - კვლევითი, საფიქსაციო სამუშაოების განხორციელება და რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება.

- **ჩასაბარებელი საპროექტო დოკუმენტაცია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:**

1. განმარტებითი ბარათი პრობლემ(ებ)ის დეტალური აღწერა;

2. სიტუაციური გეგმა - მ. 1:2000 ან მ. 1:1000;

3. ტერიტორიის ტოპოგეგმა - მ. 1:500, 1:200;

4. სისტემატიზირებული ფოტომასალა: საპროექტო ობიექტების საერთო ხედები, ფასადები, ინტერიერი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით ღირებული ელემენტები, საერთო და ლოკალური დაზიანების ამსახველი ფოტომასალა (დათარიღებული მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის ფოტომასალა –TIFF ან JPEG გაფართოების ფაილი);

5. არქიტექტურულ-არქეოლოგიური ანაზომები ლოკალურ დაზიანებათა დატანით, ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით. მასშტაბში გამოხაზული ნახაზები (გეგმები, ჭრილები, ფასადები) - მ. 1:100, მ. 1:50; არქიტექტურული დეტალები - მ.1:25, მ.1:20; მ. 1:10, შაბლონები - მ. 1:1);

6. საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური (შურფების განლაგების სქემა, დადასტურებული არქეოლოგის ხელმოწერით, ლაბორატორიული ანალიზი, ლითოგრაფიული ჭრილები და რეკომენდაციები) კვლევები. შენობის დაფუძნების და ფუძე-გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის დასკვნა. დასკვნა ტერიტორიის ჰიდროლოგიური მდგომარეობის შესახებ;

7. შენობების ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და რეკომენდაციები;

8. დასკვნა ძეგლზე სამუშაოების ჩატარებისას გამოსაყენებელი მასალის არსებულ მასალასთან თავსებადობის შესახებ; არსებული სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მასალების ლაბორატორიული კვლევის შედეგები;

9. კვლევების შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი დასკვნა-რეკომენდაციების მომზადება, სარეაბილიტაციო მეთოდოლოგიის და საჭირო ჩარევების განსაზღვრა;

10. არქიტექტურული პროექტი:

- განმარტებითი ბარათი;

- გენგეგმა მ. 1:500;

- შენობების რეაბილიტაციის მუშა პროექტი (გეგმები, ჭრილები, ფასადები ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50; ფრაგმენტები და დეტალები მ.1:20, 1:10, შაბლონები 1:1); სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით;

11. კონსტრუქციული პროექტი:

განმარტებითი ბარათი; კონსტრუქციული გადაწყვეტის მუშა ნახაზები (მ. 1:100, 1:50), კვანძები და კონსტრუქციული ელემენტები და დეტალები (მ. 1:25, მ. 1:20) ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით, სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსითი);

12. საჭიროების შემთხვევაში ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარების პროექტის მომზადება;

13. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი: განმარტებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება ინფორმაცია ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობის (გეგმა-გრაფიკი), უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების თაობაზე. სამშენებლო გენერალური გეგმა (მასშტაბი 1:500). მანქანა-მექანიზმების განლაგების სქემა, დროებითი შენობა-ნაგებობების (ადმინისტრაციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების დროებითი შენობები, დროებითი დახურული საწყობები ან ღია სასაწყობო მოედნები, დროებითი გზები, დროებითი ელექტრო და წყალსადენის ქსელები, ტერიტორიის განათება და სხვ.) ჩვენებით.

14. ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და რესურსული ხარჯთაღრიცხვა.

- **ტექნიკური დავალების დანართების სახით მოცემულია:**

დანართი 1 - უძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი;

დანართი 2 - CV-ის ფორმა.

- **საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმა:**

**საპროექტო დოკუმენტაცია** წარმოდგენილი უნდა იყოს A3 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით;

- სათაური;

- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;

- ალბომის შემადგენლობა;

- პროექტის შემადგენლობა;

- შესაბამისი ტექსტუალური ნაწილ(ებ)ი, დადასტურებული შემსრულებლ(ებ)ის/ ავტორ(ებ)ის მიერ, A4 ფორმატი;

- გრაფიკული ნაწილ(ებ)ი, შტამპით და ჩარჩოთი - A3 ფორმატი (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია განსხვავებული ფორმატის წარმოდგენა, ალბომში აკინძული A3 ფორმატის ზომაზე).

ყველა ფურცელი უნდა იყოს დადასტურებული ხელმძღვანელის, პროექტის ავტორ(ებ)ის/ შემსრულებლ(ებ)ის მიერ ხელმოწერებით.

**ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა** წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:

- თავფურცელი (სათაური);

- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელის და შემდგენელის ხელმოწერ(ებ)ით;

- განმარტებითი ბარათი;

- სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა დადასტურებული შემდგენელის ხელმოწერით.

შემსრულებლის მიერ საბოლოო პროდუქციის სახით, დამკვეთისათვის წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტაციის მყარი ასლი - ალბომების სახით (4 ეგზ.) და ელექტრონულ ფორმატში (ვექტორული DDWG, DXF, PLN გაფართოების ფაილი - ArchiCad, AutoCAD პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით), ელექტრონულ ვერსიაში მეხსიერების ბარათზე.

**შესრულებული სამუშაოების ჩაბარების საბოლოო ვადა** - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **3 (სამი) კალენდარული თვე.**

**მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, სამთავროს სამონასტრო კომპლექსში შემავალი ფერისცვალების ტაძრის ცოკოლის სამშენებლო მასალის კონსერვაციისა და წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის სარინელის გადაწყობის და წყალამრიდი სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯთაღრიცხვა**

**პრეტრენდენტის დასახელება: შპს "ძველი გალავანი"**

| N | მომსახურების დასახელება | ღირებულება (ლარი) დღგ-ს გარეშე |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 1 | მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, სამთავროს სამონასტრო კომპლექსში შემავალი ფერისცვალების ტაძრის ცოკოლის სამშენებლო მასალის კონსერვაციისა და წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის სარინელის გადაწყობის და წყალამრიდი სისტემის მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება | 47164.00 |
| | ჯამი | |

შესყიდვის ობიექტის ფასი დაფიქსირებული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების ფასი სისტემაში წარმოდგენილი უნდა იქნას დღგ-ს გარეშე.

თუ პრეტენდენტის მიერ ფასების ცხრილის ჯამური თანხა ნაკლები იქნება სისტემის შესაბამის ველში დაფიქსირებულ ფასზე პრეტენდენტის წინადადებად განიხილება ფასების ცხრილში მითითებული საერთო ფასი.

**პრეტრენდენტის უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი და გვარი**

შპს "ძველი გალავანი"-ს დირექტორი მიხეილ გელაშვილი

**ელ.ხელმოწერა/ელ.შტამპი**